

მეოთხე წერილი

მიტროპოლიტ ანთიმოზ ივერიელისა, რომლითაც ბრაშოვის შკეის მღვდლებს, მამასახლისებსა და მოსამართლეებს რომლითაც აცნობებს გამოგზავნილ სასულიერო პირთა კურთხევის შესახებ- 1713 წლის 15 თებერვალი[1].

წყალობითა ღვთისათა უნგრო-ვლახეთის მთავარეპისკოპოსი და ტრანსილვანიის ღირსი ეგზარხოსი ანთიმოზი.

ყოვლადპატიოსან მღვდლებს და თქვენ, მამასახლისებს, მოსამართლეებს და სხვა სასულიერო პირებს, რომლებიც იმყოფებით ბარაშოვის შკეის წმინდა ეკლესიაში, ყოვლადმოწყალე ღვთისაგან თქვენთვის ყველასათვის ვითხოვთ ჯანმრთელობას, მშვიდობას, წმინდა ცხოვრებას და სულის ცხონებას. ხოლო ჩვენი სიმდაბლისაგან გითვლით ლოცვასა და კურთხევას.

ის ორი წერილი, რომელიც გამოგვიგზავნეთ[2] მივიღეთ და შიგ რაც ეწერა ყველაფერი გავიგეთ, დიაკვანი და მედავითნე (წიგნის მკითხველი), რომლებიც გამოგზავნეთ თქვენი წერილობითი თხოვნის შესაბამისად, ორივე ვაკურთხეთ. დიაკვანი მღვდლად და მედავითნე დიაკვნად; რომლებიც აქ ყოფნისას შეასრულებენ ყველა აუცილებელ წესს.

ხოლო იმ შევიწროებასთან დაკავშირებით რომელიც გაქვთ აქაური მღვდელმთავრისა და რომის პაპის სხვა მსახურების მხრიდან, იქონიეთ მოთმინება, რადგან რამოდენიმე დღის შემდეგ გამოგიგზავნით სხვა წერილს, სადაც ვრცლად მოგწერთ ყველაფრის შესახებ, როგორ უნდა იმოქმედოთ და ასევე გამოგიგზავნით იმ წიგნსაც, რომელიც ჩემი დავალებით იწერება, რომლითაც თქვენ შესძლებთ დაიცვათ თავი[3]. ახლა სულ ეს არის და ვლოცულობთ რომ ღვთისწყალობა იყოს მარადის თქვენთან.

15 თებერვალი სამყაროს შექმნიდან 7221

ა.უგ.

კომენტარები:

---

[1] ბრაშოვის შკეის მუზეულის არქივში არსებული დოკუმენტი 50/1713, გამოქვეყნებულია გერასიმე ტიმუსის მიერ. Documentul din Arhiva Muzeului din Șcheii Brașovului, publicat de Gherasim Timuș, Acte relative la istoria Bisericii Române în revista Biserica Ortodoxă Română, 1887-1888, p. 1034, de Sterie Stinghe, Documente privitoare la trecutul românilor din Șchei (1700-1783), vol. I, Tipografia Ciurcu & Comp., Brașov, 1901, p. 49-50 și de ÎPS dr. Laurențiu Streza și Pr. prof. Vasile Oltean, Sfântul Constantin Brâncoveanu și brașoveanu, Editura Andreiana, Sibiu, 2014, p. 388-389. 182 Din nefericire nu s-au păstrat în nici . წერილი თარგმნილია კრებულიდან: ანთიმოზ ივერიელი; წერილები, ბუქარესტი, გამ-ბა ბაზილიკა, 2014. გვ. 99-101. Scrisori / Sfântul Antim Ivireanu ; lucrare publicată cu binecuvântarea Preafericitului Părinte Daniel, Patriarhul Bisericii Ortodoxe Române ; ed. îngrijită de Arhimandrit Mihail Stanciu şi acad. Gabriel Ştrempel. - Bucureşti : Basilica, 2014.

[2] .სამწუხაროდ არცერთი წერილი არქივში არ არის შემონახული

[3] სამწუხაროდ არც წიგნი და ეს წერილი არ არის შემონახული არქივში